

Image not found or type unknown

# ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიზანია ხელი შეუწყოს პარტნიორი ექვსი ქვეყნის სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას, მათ შორის თანამშრომლობას, საჯარო დანესებულებებთან დიალოგს, ადმოსავლეთის პარტნიორობის მიზნების მიღწევას პარტნიორ ექვს ქვეყანაში: აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ბელორუსი, მოლდავეთი და უკრაინა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქმიანობა მოიცავს ადმოსავლეთის პარტნიორობის ხუთ თემატურ პლატფორმას და, შესაბამისად, ხუთ სამუშაო ჯგუფს:

1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა;
3. გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება;
4. ხალხთაშორისი კავშირების წახალისება.
5. სოციალური დიალოგი

ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ვებ გვერდი:  
<http://eap-csf.eu/> / Facebook: [@EaP.Civil.Society.Forum](#) / Twitter: [@eapcsf](#)

ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მისიაა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და კონსოლიდაცია, დემოკრატიული

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ღირებულებების პოპულარიზაცია და მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

კოალიციის სტრატეგიული მიზნებია:

- ასოციაციის შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე საჯარო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სფეროებს შორის დიალოგის ხელშეწყობის გზით;

- საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის [წესდება](#), [ეთიკის კოდექსი](#) და [წევრი ორგანიზაციები](#).

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ვებ გვერდი: [www.eap-csf.ge](http://www.eap-csf.ge)

Facebook: [EaP CSF Georgian National Platform](#)

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის აქტიური წევრია** ფორუმის დაარსების დღიდან, მათ შორის 2014 წელს ორგანიზაცია ასრულებდა პლატფორმის სამდივნოს ფუნქციას. **საია ჩართულია პლატფორმის 1-ელ და მე-5 სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.**

საკონტაქტო პირები: ირმა პავლიაშვილი - [pavliashvili@gyla.ge](mailto:pavliashvili@gyla.ge) (1-ლი სამუშაო ჯგუფი), მარიამ ოზაშვილი - [mozashvili@gyla.ge](mailto:mozashvili@gyla.ge) (მე-5 სამუშაო ჯგუფი)